# სამშობლო

შაბათი 26 სექტემბერი.

წელიწადი I.

ფასი: წლიურათ 8 მ., ნახევარი წლით 5 მ., თვიურათ 4 აბ. ცალკე ნუმერი ერთი შაური. დამატებით 7 კ. წლიური ხელის მომწერლებს [illegible] ფასი შეუძლიათ ნაწილნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დრ[illegible] მ., და ნარჩენი კიდევ ნაწ[illegible] განცხ[illegible] ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კაპ., უკან 15 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა თითოჯერ ნაშუადღევის 2 საათ. ღირს 3 მ. 2 საათს შემდეგ 4 მან.

№ 185 ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 185

ტელეფონი № 76.

„სამშობლო დედის ძუძუა, არ გაიცვლების სხვაზედა,
ორივ ტკბილია ძმობილო, მირჩევნის ორსავ თვალზედა,
როგორც უფალი, სამშობლოც ერთია ქვეყანაზედა."

ტელეფონი № 76.


## საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი „სამშობლო"

### — ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით —


გაზეთი ღირს: ერთი წლით 8 მანეთი, ნახევარ წლით 5 მან. ერთი თვით—ოთხი აბაზი. ცალკე ნუმერი ერთი შაური, დამატებიანი 7 კ. მისამართი: ქუთაისი, რედაქცია „სამშობლო".


ვსთხოვთ ომში დაჭრილთა და მოკლულთა ნათესავ-მეგობრებს მოგვაწოდონ მათი სურათები.


რედაქტორი ი. თ. ცინცაძე.



ღრმათ დამწუხრებულნი კნეინა ბასიკო სოფრომის ასული და თავადნი ვალერიან და სიმონ მელქისედეკის ძენი ნიჟარაძენი, გულითადის მწუხარებით გაუწყებთ რა გარდაცვალებას, პირველი უსაყვარლესის მეუღლისა და დანარჩენები ძვირფასი მამის

**თავადის მელქისედეკ-დიმიტრის ძის ნიჟარაძისას,**

რომლის უკანასკნელი გამოთხოვების დღე დანიშნულია კვირას, 27 ენკენისთვეს, ნაშუადღევის სამ საათზე, გადასუხრავათ, სოფელ მაღლაკში; უმორჩილესად გთხოვთ ნათესავთ, ნაცნობთა და მეგობრებს მობრძანდეთ და გაგვიზიაროთ მწუხარებასა შინა მყოფნი ჭირისუფალნი. 2—2—2082

ბრძოლის ველზე მოკლული იქნა მე-403-ე ქვეითა ვოლსკის პოლკის უფროსი პოდპოლკოვნიკი

**თ-დი ლევან გრიგოლის ძე მიქელაძე.**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, მეუღლე მისი კნეინა ეკატერინა (კატო) მერაბის ასული, თავისი პატარა ვაჟით ალმასხანით და დაი მისი ნადე კანდელაკისა, რომ უკანასკნელი გამოთხოვებისა და დაკრძალვის დღე დანიშნული არის 27 ამ თვეს, დღით კვირას, დილის 9 საათზე, სოფელ კულაშს, თავის სახლში. 2—2—2085

**მ. დუნდუას** ქალთა სასწავლებელი მდგომარე 1915 წ. ენკენისთვიდან **გადაკეთდა** საშუალო კერძო პროფესიონალურ **სასწავლებლათ, ოთხკლასიან პროგიმნაზიის კურსით.** სასწავლებელში სრულიად მოუმზადებელი ბავშვებიც მიიღებიან. თავისუფალი ადგილი ყველა კლასშია. სწავლის ფასი ჩვეულებრივ: სამზადისა და სხვა განყოფილებებში 20 მანეთი, ხოლო პროგიმნაზიულ კლასებში 25 მანეთი.

მოლაპარაკება დილის 9—2 საათამდი შეიძლება.

მისამართი: ბალახვანის ქუჩა, იოსებ ბაქრაძის სახლებში. თვ.

**იბეჭდება და ამ დღეებში გამოვა**

გასასყიდათ თომა მთავრიშვილის წიგნის მაღაზიის ახალი გამოცემა

**სამსონ დათეშიძის ქართული ლედანისადა სამხატვრო ნიმუშებისა.**

ქ. ქუთაისში **ექიმი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

**სერაფიონ მ. დადუნაშვილი**

ღებულობს შინაგან და სამშობიარო ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—6 საათ.

ქარვასლის ქუჩა (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ.

**ქ. ქუთაისი.**

**ექიმი ქალი** ჟენევის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა

**ლ. ა. კეტლერი-დადუნაშვილისა**

ღებულობს შინაგან და ქალთა ავათმყოფობით სნეულებს დილის 9—12 საათ. ღ საღ. 5—6 ს.

ქარვასლის ქუჩა, (კლასიკურ გიმნაზიის პირდაპირ) ადანაიას სახლები. თვ. 975

**ექიმი** **ზ. დ. ნასარიძე** შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების სნეულებით ავათმყოფებს იღებს დილის 8—2 საათამდე და საღამოთი 6—8 საათ. თბილისის ქუჩა, ქუთაისის ყოფილი ქალაქის თავის დ. ა. ლორთქიფანიძის სახლი. თვ.

**ექიმი** **გაბრიელ იოსების ძე გოკიელის** მედიკტრონისა და სინათლის კაბინეტი.

შინაგანი ნევრებისა და ვენერიულ ავათმყოფების მიღება დილის 9—12 საათ. საღ. 6—8 საათ. ალექსანდრეს ქ. საკუთარი სახლი. თ.

**ბებია** **მ. მ. კოხრეიძე** უვლის ყვავილს, უკეთებს ნემსებს, ეხმარება მშობიარეთ და აძლევს ავათმყოფთ რჩევადარიგებას ყოველ დროს.

ალექსანდროვის ქუჩა სახლი თევდორაძისა, ფილიპოვის მაღაზიის პირდაპირ.

**ექიმი** **ი. ჩარექიშვილი** ქალაქ. საავათმყოფოს ორდინატორი. განსაკუთრებით ვენერიულ და სიფილისიანი ავათმყოფების მიღება ახალ ბინაზე, დილით, 12—2 საათ. საღამ. 6—8 საათ. მისამართი: ლევაშოვის ქუჩა, ალიბეგოვის სახლში. (თ.)

**მასაჟით სამკურნალო კაბინეთი**

**მარ. ბალანჩივაძისა.**

ვკურნავ მასაჟით, სამკურნალო ვარჯიშობით. ვსპობ სახეზე: მუწუკებს, ნაოჭებს, ჭორფლს მეტ სიწითლეს, ნაყვავილებს და ყოველგვარ სახის ავათმყოფობას. ამასთან ყურით ყვავილსაც და აგრეთვე **ნამდვილათ ვარჩენ** თავზე კანის ქეცლს, ანუ ქეტერს ახალი გამოსული წამლის საშვალებით. ქეტერის მოსპობის შემდეგ თმა სრულიად აღარ სცვინდება და იღებს სასიამოვნო ფერსა და სირბილეს. ავათმყოფების მიღება დილის 9—2-დე და საღამოს 4—6 საათამდე. რჩევა და დარიგება 10 შაური. მისამართი: გენერლის ქუჩა, ლორთ ქიფანიძის სახლი. თ

**ელექტრო „რადიუმი" თეატრი**

ხუთშაბათიდან, 24 სექტემბრიდან, ახალი საუცხოვო პროგრამა.

პათე ჟურნალი. მიმდინარე საქმეები.

სენსაცია! ნორდისკის!

**ტაბორის ქალიშვილი, თავისუფლების ბავში.**

მხატვრული დრამა 3 ნაწილათ. ცნობილი მსახიობი ქალის ევა ტომსენის მონაწ.

მხიარული კომედია **რქები 200000 მანეთად.** ორ ნაწილათ.

ანონსი: ამ დღეებში ნაჩვენები იქნება ჯერ არ დადგმული სურათი, განსაკუთრებით მოზრდილთათვის **ლეონ დრეი** ქალების გულის მომხიბვლელი. ს. იუშკევიჩის მოთხრობიდან.

1915 წლის 1 **ოქტომბრიდან** გამოვა ქ. ქუთაისში ახალი ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

**„მეგობარი"**

გაზეთის ფასი წლიურად 8 მან. ცალკე ნომერი 5 კაპ. გაზეთში სხვათა შორის მონაწილეობას მიიღებენ: ბ.ბ. სილოგავა ზ. მაიაშვილი. კიტა აბაშიძე, გრ. გველესიანი, ი. ფანცხავა, ი. ბაქრაძე, სიტყვა, დ. უზნაძე, არ. ჭუმბაძე, ჯაჯუ ჯორჯიკია, და სხვა.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები საქართველოს ყველა დაბა ქალაქში და რუსეთის სატახტო ქალაქებშიაც.

რედაქციის მისამართი: ქ. ქუთაისში, ივანოვის ქ. ჰილაძის სახლი. რედაქტორ გამომცემელი დ. ი. შარაშენიძე.

**გაიხსნა** 15 ენკენისთვიდან **საკონდიტრო**

**„რეიმსი" და „გრანდ-კაფე"**

ქუთაისში, გიმნაზიისა და ვორონცოვის ქუჩის კუთხეში, ქართული თეატრის გვერდით. 8—4

**„სინათლის"** საზოგადოების **დედათა ქართულ სასწავლებელში** მისაღები გამოცდები სწარმოებს ყოველ დღე დილის რვა საათიდან თორმეტამდი.

თფილისის ქუჩა, გ. მეიფარიანის სახლი. თ.

საყოველთაოთ ვაცხადებ, რომ გავხსენით სააგენტო დამზღვევ (სტრახის) საზოგადოებისა

**„რუსეთი" („როსსია"),**

სადაც შეიძლება **დაზღვევა** სიცოცხლისა და უბედურ შემთხვევებისაგან.

პირადათ მოსალაპარაკებლათ ვთხოვ მობრძანდეთ დილის 10 ს-დან ნაშუადღევის 1 საათ. და საღამოობით 4 საათ.—7 საათ. ჩვენს კანტორაში ქ. ქუთაისში, ორპირის ქუჩაზე, საკუთარ სახლში, ქალაქის მეორე აფთიაქის ზემოთ. მსურველთ შეუძლიათ აგენტის სახლში მიწვევით დაიზღვიონ თავი. ტელეფონი № 26

წერილობით შეკითხვაზე პასუხი დაუყოვნებლივ მიეცემა.

თ. აგენტი დამზღვევ საზოგადოებისა **დავით სიმონის ძე ლოლოგერიძე.**

ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე

პატივისცემით აცხადებს, რომ 27 სექტემბერს ამა 1915 წელს, დილის 10 საათზედ, დანიშნული არის ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა

**საგანგებო კრება**

ამოსარჩევათ 8 ამომრჩევლების სახელმწიფო სათათბიროში და სხვა რამოდენიმე საყურადღებო კითხვების განსახილველათ. 6—5


## ბრძანება

### კავკასიის ხანამესტნიკოს მართველობის.

### № 1.

უმართებულეს სენატისადმი 23 აგვისტოს, 1915 წელს ბოძებულ უმაღლეს ბრძანებით მე დავინიშნე მათ იმპერატორებით უდიდებულესობის მოადგილეთ კავკასიაში მთავარ სარდლათ. კავკასიის ჯარისა, და ნაკაზნოი ატამანათ კავკასიის ყაზახთა ჯარებისა.

მოვედი რა ამ დღეს თბილისში, ვბრძანებ: სამსახურის ყველა საქმეთა გამო მომმართოთ მე.

სალამს ვუძღვნი კავკასიის ყველა ერებს.

უზენაესს ვსთხოვ გადმომიგზავნოს კურთხევა და დახმარება ხელმწიფე იმპერატორისთვის ჩემდამი უმაღლესად რწმუნებულ მხარის სამსახურში.

ქვეყნის წარმატების ზრუნვის საფუძვლათ მექნება: რწმენა ყველა ერთა ჭეშმარიტ უქცევშევრდომილეს გრძნობებისა ხელმწიფე იმპერატორისადმი; მათი სიყვარული რუსეთისადმი, რომელთანაც კავკასია განუყოფელ მთელს შეადგენს.

აღფრთოვანებული მეფისადმი ერთგულ სამსახურით, რუსეთისადმი უსაზღვრო სიყვარულითა და მხურვალეთ მოსურნე მოვიტანო შესაძლო სარგებლობა, შეუდექი მომავალ ჩემ სამუშაოს იმედით, რომ დადგება ჟამი, როცა ხალხის ნებით გაძლიერებული და დანდობილი მამაც კავკასიის ყველა ერთა მხურვალე სურვილს საერთო მუშაობის შესახებ ქვეყნის სასარგებლოთ, მე მათთან ერთად გამოხარებს სულიერი და გონებრივი წარმატება ქვეყნისა, განვითარება და აყვავება მის უძრავ სიძლიერეთა და საერთო წარმატება.

გენერალ-ადიუტანტი **ნიკოლოზი.**

თბილისი 25 სექტემბერი 1915 წ.

## ოფიციალური განმარტება.

**პეტროგრადი.** 3 აგვისტო. მთავრობის ცნობა. რუსეთის მთავრობა საერთაშორის ომის დასაწყისშივე თავის მოკავშირეებთან ერთად შეუდგა ერების დამოუკიდებლობის დაცვას გერმანელების თავდასხმისაგან და თავის საგარეო პოლიტიკის მიზნათ დაისახა ხელი შეეწყო გამარჯვების მოპოებისათვის მტერზე. განვლილ ომის ხანაში რუსეთის დიპლომატია იკვლევდა და სცვლიდა საუკეთესო გზებსა და საშუალებებს, რომელი გზები და საშუალებებიც შეთანხმებული იყო დასახულ მიზანთან. ასეთ პირობებში ჩვენი პოლიტიკა უპირველეს ყოვლისა უნდა მიმართულიყო ბალკანეთის კავშირის შესაქმნელათ, რომელი კავშირიც შესამჩნევათ ხელს შეუწყობდა და გაადვილებდა ჩვენს გამარჯვებას ავსტრო-გერმანელთა ოსმალეთის კოალიციაზე. ბალკანეთის კავშირის შექმნა კი შესაძლებლათ მიგვაჩნდა ბულგარეთის შერიგებით მის მეზობელ სახელმწიფოებთან ბალკანეთის ერების კანონიერ მისწრაფებათა დაკმაყოფილებისა და მათი სახელმწიფოებრივი ინტერესების ახალ განსაზღვრის ნიადაგზე. ამ კერძო მიზნის განხორციელებისკენ იყო მიმართული ბალკანეთში რუსეთის დიპლომატიის მუშაობა, რომელიც მჭიდროთ შეკავშირებული იყო მოკავშირეთა სახელმწიფოების დიპლომატიის მოქმედებასთან. ჯერ ისევ წასული 1914 წ.

ივლისში საიმპერატორო მთავრობამ განუცხადა ბულგარეთის მთავრობას, რომ კეთილსინდისიერი და პატიოსნური შეთანხმება მისი პოლიტიკისა რუსეთის მიზანთან რეალურ სარგებლიანობას მოუტანს ბულგარეთს, ხოლო ბულგარეთის ადელვება, და ამბოხება მაკედონიაში და ყოველგვარი მოქმედება სერბიის საწინააღმდეგოთ მიმართული მიჩნეულ იქნება რუსეთის საწინააღმდეგოთ აშკარათ გადადგმულ გამოსვლით. ამავე დროს სერბიის მთავრობას განემარტა, რომ უმთავრესი მიზნის მტერზე სრული გამარჯვების მისაღწევათ საჭიროა შესაფერი და ცნობილი მსხვერპლის გაღება. რუსეთის დიპლომატების მიერ გადადგმულ ნაბიჯებს, რომლის ხელმძღვანელობითი მნიშვნელობაც აღსარებულ იქნა მოკავშირეთა დიპლომატიის წარმომადგენლებისაგან, უნდა მოყოლოდა შეთანხმების სახელმწიფოთა საერთო გამოსვლა 6 აგვისტოს 1914 წ., მაგრამ ამ საერთო გამოსვლამ დაიგვიანა. მოკავშირეთა სახელმწიფოების წარმომადგენლებმა პაშიჩს ჩააბარეს ნოტა, რომელშიაც გამოსთქვამდენ თავის რწმუნებას, რომ სერბია თანახმა გახდება დაუთმოს ბულგარეთს თავისი ტერიტორიის ნაწილი იმ შემთხვევაში თუ უკანასკნელი შეიარაღებული ძალით დაეხმარება მას ოსმალეთის წინააღმდეგ, რის სამაგიეროთაც სერბიაც მიიღებდა სხვა ადგილებს დათმობილ ტერიტორიაში. ამ ნოტაზე სერბიის მთავრობამ უკვე 19 ეკენისთვეს პასუხი გასცა, რომლითაც იგი თანახმა იყო აღნიშნულ პირობებში დაეთმო ბულგარეთისათვის ნაწილი თავისი ტერიტორიისა.

ოსმალეთთან ომის გამოცხადების შემდეგ სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა კონკრეტული განცხადება წარუდგინეს ბულგარეთის მთავრობას, რომ ბულგარეთი ოსმალეთის საწინააღმდეგოთ გამოსვლისათვის მიიღებდა აღნიშნულ ტერიტორიას. ბულგარეთმა ამაზე განაცხადა, რომ მას სურს მტკიცეთ დაიცვას ნეიტრალიტეტი,—გარდა ამისა მას არ სურს ამ საქმეში უფრო გარკვეული მდგომარეობით დაივალდებულოს თავი. ამის გულისათვისაც მოკავშირეები დაპირდენ ბულგარეთს ტერიტორიის გაფართოებას. სოფიის კაბინეტის ამ გვარმა საქციელმა და სერბიის დახმარების აუცილებელმა საჭიროებამ იძულებული ჰყო შეთანხმების სახელმწიფოები რადოსლავოვის მთავრობისათვის განეცხადებიათ 1914 წლის ნოემბერში, რათა მას უზრუნველ ეყო მათი მოკავშირე სერბია და საბერძნეთი ბულგარეთის თავდასხმისაგან, რისთვისაც იგი მიიღებდა ომის შემდეგ მის კუთვნილ ტერიტორიას მაკედონიაში და ფრაკიას ენოს-მიდიის ხაზამდი.

სერბიელების ბრწყინვალე გამარჯვებამ ავსტრიელებზე მოკავშირეთა იმედი შეასუსტა სერბიის მხრივ ტერიტორიის დათმობის შესახებ, მაგრამ მიუხედავათ ამისა, საიმპერატორო მთავრობა მოკავშირეებთან სრულის შეთანხმებით განაგრძობდა თავის ცდას და იანვარში 1915 წლისა, ენერგიულათ შეუდგენ რუსეთის მიერ ახლათ წარდგენილ პროექტის განხილვას, რომელ პროექტის ძალითაც ბულგარეთს ეთმობოდა პირველათ მთელი მაკედონიის ეგრე წოდებული უდავო ფარდი დი მეორეთ სერბიის კომპენსაცია ავსტრიის ზოგიერთი ადგილობით და ფართოდ სარგებლობა ადრიატიკის ზღვით. სოფიასა და ნიშში განზრახული გამოსვლა გადაიდვა სერბიის არა კეთილ განწყობილების გამო, კერძოთ და უმთავრესათ ბულგარეთის მტკიცე გადაწყვეტილების გამო,—რომ იგი თავის მოლოდინის პოზიციაზე, მტკიცეთ იდგებოდა.

იტალიის გამოსვლამ შექმნა ახალი პოლიტიკური მდგომარეობა, რომელმაც საჭიროთ გახადა ოთხთა შეთანხმების ხელ-ახალი მოლაპარაკება საერთო გეგმის შესამუშავებლათ. რომ მოლაპარაკებას სასურველი ნაყოფი გამოეღო, მოწვეული იყვნენ მოკავშირე სახელმწიფოთა ელჩები, რომელთაც 16 მაისისთვის უნდა წარმოედგინათ ბულგარეთის მთავრობის უკანასკნელი გადაწყვეტილება. ელჩებმა შემდეგი განცხადებით მიმართეს რადოსლავოვს: იმ შემთხვევაში, თუ ბულგარეთი მთელის შეიარაღებული ძალით გამოვა ოსმალეთის წინააღმდეგ, მას დაეთმობა: 1) ფრაკია და ენოს—მიდიის ხაზამდე; 2) უზრუნველ ყოფენ მაკედონიის ნაწილის დათმობით, რომელიც შემოფარგლული იქნება ეგრი-პალენკა სოპეტ-ოხრიდის ხაზით, სადაც მოქცეულნი იქნებიან ქალაქები: ეგრი, პალენკა, კეპრიულო, ოხრიდა და მონასტერი იმ პირობით, რომ ბულგარეთი ამ ადგილებში არ შევა იმ დრომდი, ვიდრე ზავი არ იქნება შეკრული; 3) მიეცემა ბულგარეთს ფულით დახმარება. ამ განცხადებაზე ბულგარეთის მთავრობამ 2 ივნისს მოითხოვა ზოგიერთი მუხლის განმარტება. ეს მოთხოვნა გახდა საკამათო საგნათ ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა შორის და აგრეთვე მათსა და სერბიის შორის. 22 ივნისს მოკავშირეებმა განმარტებული ნოტა წარუდგინეს სოფიის კაბინეტს, რომლითაც უზრუნველ ყობდენ მას 1912 წ. ხელშეკრულობის განხორციელებით. და თუ ბულგარეთი მიიღებდა ამ წინადადებას, უნდა განესაზღვრა ვადა თავის გამოსვლისა ოსმალეთის. წინააღმდეგ შემთხვევაში წაყენებული წინადადებანი შეუსრულებელი დარჩებოდენ.

რადგანაც სერბიის მთავრობამ თავისი სურვილი განაცხადა, მოკავშირეებმა 3 აგვისტოს თარიღით კვლავ აცნობეს ბულგარეთის მთავრობას, რომ 1912 წ. ხელშეკრულობა შეუცვლელი დარჩებაო. 19 აგვისტოს სერბიის მთავრობამ თანხმობა განაცხადა გაიღოს ის მსხვერპლი, რომელსაც მოკავშირენი მოითხოვენ მისგან და პრინციპიალურათ დაეთანხმა უცვლელი დარჩეს სერბო-ბულგარეთის ხელშეკრულობა 1912 წლის.

სცნობდენ რა უსაჭიროესათ ბულგარეთის გადმოხრას თავისკენ და მისი განზრახვების გარკვეულათ გამოთქმას, მოკავშირეებმა, 1 ეკენისთვის თარიღით რადოსლავოვს კვლავ წარუდგინეს შემდეგი განცხადება: ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოები მზათ არიან უზრუნველჰყონ ბულგარეთი სერბის მხრით ომის დასრულებისას მაკედონიის ნაწილით იმ იმ ფარგლებში, როგორც ეს მოხსენებულია 1912 წლის ხელშეკრულებაში, ხოლო ეს უზრუნველყოფა დამოკიდებული იქნება ბულგარეთის დაპირებაზე, რომ იგი მზათ იქნება ახლო მომავალში შეკრას მოკავშირეებთან სამხედრო კონვენცია ოსმალეთის წინააღმდეგ გამოსვლის შესახებ. ამ განცხადებაზე ბულგარეთმა პასუხის ნაცვლათ 10 ეკენ. დილის 7 საათზე გამოაცხადა საყოველთაო მობილიზაცია ამავე დროს გერმანელმა ოფიცრებმა დაიკავეს ბულგარეთის ჯარში ისეთივე მდგომარეობა როგორც ეს ერთი წლის წინ ოსმალეთში მათმა ამხანაგებმა, რომელთაც ოსმალეთი ჩაითრიეს ჩვენს საწინააღმდეგო ომში. ასეთი გამოწვევა საიმპერატორო მთავრობის მხრით არ შეიძლება დარჩენილიყო უპასუხოთ და თავისი ელჩის ხელით 21 ეკენისთვეს წარუდგინა სოფიის კაბინეტს უკვე გამოქვეყნებული ნოტა, რასაც ბულგარეთის მხრით არა დასაკმაყოფილებელი პასუხი მოყვა.

ამ გარემოებამ კი გამოიწვია დიპლომატიური მოლაპარაკების შეწყვეტა ბულგარეთთან.

# ომი

(პეტ. დეპ. სააგენტოსაგან)

## აღმოსავლეთის ასპარეზი.

**პეტროგრადი.** 24 ეკენისთვე გუშინ, საღამოთი, ოთხთა შეთანხმების სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა პასპორტები მოითხოვეს. იტალიის ელჩს, თუმცა არავითარი ნოტა არ წაუყენებია ბულგარეთის მთავრობისათვის, მაგრამ იგიც შეუერთდა თავის კოლეგების მოთხოვნას. ბელგიის ელჩიც ასევე მოიქცა. სერბიელებმა დღეს, დილით მოითხოვა პასპორტის ჩაბარება.

**ლონდონი.** 24 ეკენ. კონსერვატიული გაზეთები: „ტაიმსი“ და „მორნინგპოსტი, ლიბერალური: „დეილინიუს-“ი და „დეილქრონიკლ-“ი საბერძნეთის სამინისტროს კრიზისის გამო ერთხმად აცხადებენ, რომ ამ მდგომარეობიდან ერთად ერთი გამოსასვლელი გზა სალუნში გადასხმულ ჯარის დაუყონებლივ გაძლიერებასა და ძლიერი ესკადრის მფარველობაში მდგომარეობსო. „ტაიმსი“ რუსეთის კომერციულ კრედიტის პროექტის გამო ამბობს, რომ პროექტის უმთავრესი მუხლები მიღებულია როგორც საკრედიტო დაწესებულებებისაგან, ისე საფონდო ბირჟების წარმომადგენლებისაგანაო. პროექტის წვრილმანი მუხლების განხილვა გრძელდება.

**ათინა.** 24 ეკენ. ეროვნული ბანკს მმართველმა, მინისტრთა საბჭოს თავჯდომარეთ ნამყოფმა ზაიმისმა ახალი კაბინეტის შედგენა იკისრა. თვითონ მიილო გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობა. ახალი მინისტრების სია დღეს საღამოთი ან ხვალ შესდგება. პოლიტიკური პარტიების ბელადები მიწვეული იყვნენ მეფესთან სამინისტროს კრიზისის საკითხის გამოსარკვევათ შედეგები ჯერ არ იციან. ავსტრიელებმა გალიპოლის კუნძულზე, სუვლინსკის სექტორში, ფლოტის მხრიდან ცეცხლის დახმარებით ცოტათი წინ წაიწიეს. ფრანგებმა ორი თხრილი დაიკავეს სედილბარხსკის სექტორში. მოკავშირეთა ჰაეროპლანებმა გუშინ დილით ლივალში ყუმბარები ჩამოყარეს. მსხვერპლთა რიცხვი ჯერ გამოკვლეული არაა.

**სოფია.** 23 ეკენ. ელჩი სავინსკი ლოგინათ ჩავარდა აპენდიციტის გამო. სხვა ელჩების გასვლის შემდეგ იგი სოფიაში დარჩა. მის დარჩენას კერძო ხასიათი ექნება.

## დასავლეთის ასპარეზი.

**პარიზი.** 23 ეკენ. დილის ოფიც. ცნობა. არტუაში საარტილერიო ბრძოლა გრძელდება. საარტილერიო ბრძოლა განსაკუთრებით სასტიკ ხასიათს იღებს ქევენშის სამხრეთით, სადაც ბრძოლა ხელით სასროლ ყუმბარებით სწარმოებს. აქ ჩვენ ცოტათი წინ წავიწიეთ ზამეკისა და ლაფოლის სამხრეთ დასავლეთით. დანარჩენ ფრონტზე მხოლოდ არტილერიის სროლა იყო, მაგ. შამპანში გასსა და მოზელს შუა ფლირის ჩრდილოეთით და ლოტარინგიის ფრონტზე ლანტრე—გონდრეკსონ—დომიკრის მიდამოებში.

**სოფია.** 23 ეკენისთვე. ბოლგარეთის ოფიციალური ცნობა. ორშაბათს 4—5 საათზე ინახულეს მინისტრ პრეზიდენტი რუსეთის საფრანგეთის და დიდ ბრიტანეთის წარმომადგენლებმა. ორ პირველ სახელმწიფოთა წარმომადგენლებმა ჩააბარეს პრეზიდენტს ნოტა ულტიმატუმი და მოითხოვეს მათგან გარმატება თუ რას შეიცავს მათი განცხადება შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის დაცვაზე და რა მიზანი აქვს საერთო მობილიზაციას ბოლგარეთის სამხედრო ძალებისას. დიპლომატიური დამოკიდებულება [illegible] მუქრა ბულგარეთს რუსეთ-საფრანგეთის წარმომადგენლები [illegible] განმავლობაში არ შეწყვეტენ ყოველგვარ დამოკიდებულებას გერმანია-ავსტრიასთან და მათ აფიცრებს, რომლებიც იმყოფება მათ მთავარ სამხედრო შტაბებში არ გაიძევებენ ბოლგარეთიდან.

—დიდ ბრიტანეთის (ინგლისის) წარმომადგენელმა თავისი მხრით პრეზიდენტს ასეთი ნოტა ჩააბარა: დიდი ბრიტანეთი შეწყვეტს კავშირს ბულგარეთთან, თუ ბალკანეთის ნახევარ კუნძულზე გაჩაღდება ომი, როგორც შედეგი ბულგარეთის სამხედრო ძალების მობილიზაციისა. ინსტრუქციის უქონლობის გამო ჯერ იტალიის წარმომადგენელს ბულგარეთის მთავრობისათვის ნოტა არ ჩაუბარებია, ზემო აღნიშნულ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ბოლგარეთის მთავრობა დღეს გასცემს პასუხს, რომელშიაც აღნუსხული იქნება არსებითი მიზეზი ბოლგარეთის შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის დაცვის, აქვე კატეგორიულათ უარყოფილი იქნება გერმანიის და ავსტრიის აფიცრების ყოფნა ბულგარეთის სამხედრო შტაბებში.

**პარიზი.** 24 ეკენ. დღის ოფიც. ცნობა, ღამის განმავლობაში მტერმა ენერგიულათ დაუშინა ჩვენს პოზიციებს, სკარპიდან ჩრდილოეთით მდებარე ფრონტის გასწვრივ მტერმა თანდათანობით მოიტანა ოთხი კონტრ-იერიში ჩვენი პოზიციების წინააღმდეგ. ყველა იერიში მარჯვეთ მოვიგერიეთ. ძლიერი საარტილერიო ბრძოლა იყო რომის სამხრეთით ანგეშის სექტორში, დანკურ-კენისიუს მიდამოებში. შამპანში საღამოთი გერმანელები იერიშზე გადავიდენ, მაგრამ დიდი ზარალით უკან დაიხიეს. ეპარჟეზ ჩვენ ავაფეთქეთ ორი ნაღმი, რომელმაც ძლიერ დააზიანა მტრის საწყობები. გაცხარებული საარტილერიო სროლა იყო მოზელსა და მაასს შუა, ფრილედან ჩრდილოეთით. ლოტორინგიაში მტრის მზვერავთა ძლიერი რაზმი ცდილობდა ჩვენს თხრილებთან მოახლოებას, მაგრამ როგორც კი მოუახლოვდა ჩვენს თხრილებს ქვეითი ჯარმა თოფის სროლით გაფანტა.

# ომის ამბები.

## კიევს სცლიან.

ქ. ლუცკის უკან დაბრუნების შემდეგ კიევის დაცლა შეჩერდა და როგორც გაზეთები იუწყებდენ კიევის მცხოვრებნი უკანვე დაბრუნდენ. ახლა კი, როცა ქ. ლუცკი ისევ ავსტრიელების ხელში გადავიდა, კიევის „დაცლის“ ამბები ისევ წინანდებურათ ისმის. გაზეთი „კიევლია-

# რა გვიხსნის სიძვირისაგან?

III

ჩვენში ახლა ბევრს ლაპარაკობენ და სწერენ საქონლის გადატან—გადმოტანის დაჩქარება-გაადვილებაზე, კოოპერატივზე სამართლიან ტაქსაზე, და საქმეში თვითმართველობის ჩარევაზე, როგორც სიძვირისაგან ხსნის უებარ საშუალებაზე.

მაგრამ, როგორც გერმანიის მაგალითიდან დავინახეთ, ყველაფერი ეს საკმაო არაა; ყველაფერი ეს მხოლოდ პალიატივაა: ტკივილის მხოლოთ დროებით გამაყუჩებელია, დამამშვიდებელია და მეტი არაფერი!

ვიდრე მსოფლიო ომი მძვინვარებს და მისი შედეგები ძალაში დარჩება მანამ სიძვირეც გამძვინვარებული იქნება იმ ქვეყნებში მაინც, სადაც პრინციპს „საქონლის მუნიციპალიზაციისას“ ადგილი არა აქვს. ადგილი არა აქვს, ან არ ექნება არა იმიტომ, რომ ამ ქვეყნის მთავრობას იგი არ სურს შემოიღოს, არა, საუბედუროთ აქ თავი და თავი მთავრობის სურვილი და გონიერება კი არაა, არამედ ქვეყნის ეკონომიური განვითარების მდაბალი დონე და მისი ვითარებაა.

გერმანიაში თუ ამ პრინციპის გატარება ხერხდება ეს იმიტომ, რომ ეს ქვეყანა „სინდიკატების და კარტელების“ ქვეყანაა. სრულიათ საბუთიანათ აღნიშნავს გერმანიის კანცლერი, დელბრიუკი, როცა ამბობს, რომ რომელიმე წარმოების სინდიკატი, ის მზა მზარეული ფორმაა, რომლის შინაარსი შეიძლება სახელმწიფომ „საქონლის მუნიციპალიზაციათ“ გადააქციოსო.

ავილოთ ნავთის წარმოება. ვთქვათ კავკასიის ნავთის პატრონი მწარმოებელი არის ერთი უზარ-მაზარი სინდიკატი ანუ კარტელი. ეს იმას ნიშნავს, რომ რაც კავკასიაში ნავთი იშოვება, ყველა ეს ერთი ორგანიზაციის ხელშია თავმოყრილი. ამასთან ამ ორგანიზაციამ, სინდიკატის გამგეობამ, კარგათ იცის, როგორც, რაოდენობა და ღირსება ამოღებულ ნავთის, ისე მასზე მოთხოვნილება შინ და გარეთ. მას ყოველგვარი მასალა და ცნობა მოეპოვება იმის გამოსარკვევათ, თუ კავკასიის მცხოვრებთ სად რამდენი ნავთი სჭირდებათ და თვითონ სინდიკატს რამდენი ეშოვება, ან რამდენათ უნდა გააფართოვოს წარმოება, რომ მთელი კავკასიის მოთხოვნილება დააკმაყოფილოს. რაკი ყველაფერი ეს ერთ ორგანიზაციას შეეხება, ამიტომ როგორც კი საჭიროება მოითხოვს, კითხვა მაშინვე ირკვევა და პრაქტიკულათაც დაუყონებლივ სრულდება: ორგანიზაცია სახელმწიფოს მექანიზმის საშუალებით და ძალდატანებით ადგილობრივ მცხოვრებთა მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ მუშაობს.

სახელმწიფო, მაგალითათ ნებას არ აძლევს სინდიკატს ნავთი კავკასიის საზღვარს იქით გაიტანოს და რაც კი მას ნავთი მოეპოვება კავკასიის მცხოვრებთა შორის მოთხოვნილების დაგვარათ დაანაწილოს სამართლიანი ზომიერ ფასებში.

ამნაირათ წინათ ნავთი, თუ, მაგალითათ, გირვანქა 5—6 კაპეიკათ ფასობდა, ახლა 2—3 კაპეიკი ღირება. ამის მოწესრიგება და სისრულეში მოყვანა სინდიკატის საშუალებით სახელმწიფოს სულ რამდენიმე კვირაში შეუძლია. მაშინ როდესაც დღეს წელიწადიც რომ მოანდომოს მაინც ვერ შეძლებს. რატომ?

იმიტომ, რომ წარმოება დაქსაქსულია ათას პატრონ შორის, რომელთაც არა თუ ერთ მეორის, არამედ თავისი ძალღონის და ეკონომიური ვითარების არა გაეგება რა. აქ ერთის ალაგას ათასი და შეიძლება ასი ათასი ორგანიზაციაა, და ისიც არეულ—დარეული; ზოგი ნახევრათ მოწყობილი და ზოგიც სულ მოუწყობელი; ზოგი „მსხვილი“, ზოგი „წვრილი“ და ზოგიც უწვრილესი, აქ არავითარი სისტემის შეტანა და კითხვის გამორკვევა აღარ შეიძლება; ამიტომაც ამას „წარმოების ანარქიას“ უწოდებენ!

ნავთის წარმოება ჩვენში კიდევ „ღვთის წყალობაა“ იმასთან შედარებით, რაც სხვა დარგში ხდება, წარმოიდგინეთ ჩვენში სასოფლო-სამეურნეო წარმოება, რაც უკიდურესათ არის დაქსაქსაქსული და სადაც არავითარი ორგანიზაციული პრინციპი არაა შეტანილი. ყოველი გლეხი თუნდაც ნახევარი ქცევის პატრონი, რომელმაც ისიც არ უწყის, თუ მის ეზოს გარეშე რა ხდება და საკუთარ მოთხოვნილებასაც ბუნდოვანათ გრძნობს, თავის ნაწარმოებს „თავის ქეიფზე“ აფასებს და ბაზრის ვითარებას და საქონლის ღირებულებას სულაც არ დაგიდევს: ის არავითარ სამართლიან ტაქსას არ ემორჩილება და მაშასადამე, მისი წყალობით სანოვაგის ფასების მოწესრიგებაც შეუძლებელი ხდება. ასეთია ეკონომიური ვითარება უმთავრესათ რუსეთში და ჩვენში, რაც ამ ომის დროს კიდევ უფრო უარესდება და მწვავდება.

ადმინისტრატიული, გინდ ჩვეულებრივი მუნიციპალური ზომებით და კოოპერატივებით ამის გამოსწორება, ქვეყნის ეკონომიურ მაღალ საფეხურზე აყვანა და ამით ხალხის შესაფერი „ფსიხოლოგიური“ გაწრთვნა-მომზადება არ შეიძლება, არ მოხერხდება.

ამისთვის უმთავრესად საჭიროა რუსეთში ყველგან და „ჩვენს სამშობლოშიაც“ წარმოების ის ფორმა დამყარდეს, რომელსაც მეცნიერები „მსხვილ კაპიტალისტურ მანქანურ წარმოებას“ ეძახიან. თვარა „მე- [illegible] „წვრილმანების“ ქვეყანა ვერასოდეს ვერ ეღირსება იმ პრინციპის გატარებას, რომელიც ჩვენ წინა წერილში დავახასიათეთ და გერმანიის მაგალითით დავასურათეთ. აქაც კი, როგორც ვნახეთ, ამ პრინციპის გატარებისთვის საჭირო შეიქნა მთელი სახელმწიფოებრივი ძალის ამუშავება და მისი ძალა-უფლების გამოყენება.

რუსეთში კი დღეს ამისთვის მხოლოდ ერთად-ერთი ფაქტორია, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოებრივი ძალა-უფლება, მთავრობა დააფაცუროს და გერმანიის მსგავსათ დათმობის გზაზე დააყენოს. ეს არის ომი, ბრძოლის ველზე დამარცხების შიში! მაგრამ ეს როდი კმარა! ამ ფაქტორთან ერთათ საჭიროა ქვეყანა დღესვე ეკონომიურათ მაღალ საფეხურზე იდგეს, როგორც ეს გერმანიაშია; და ხალხიც „ფსიხოლოგიურათ“ მომზადებული იყოს შესაფერი რეფორმისათვის.

მთელი ტრაგიზმიც იმაშია რუსეთის და მასთან ერთად ჩვენიც, რომ გარდა პირველი ფაქტორისა, ე. ი. ომისა და დამარცხებისა აქ არ არსებობს, არ მოქმედებს არც ქვეყნის განვითარებული ეკონომიკა“ და არც ხალხის მაღალი „ფსიხიკა“. აქ არის მხოლოდ პოლიტიკის შეცვლა-შექმნის ნიადაგი და ჩვენ ის დავაგვრჩენია, რომ ისევ ამ ნიადაგს დავემყაროთ და მისი მიხედვით „გამოსავალი“ მოვნახოთ. მე არა ვარ წინააღმდეგი 1) საქონლის გადატან-გადმოტანის მოწესრიგების, 2) ყოველგვარი კოოპერატივების ამოძრავების და განვითარების და 3) ახლანდელი თვითმართველობათა ინიციატივის და საქმეში ჩარევის. ვამბობ მხოლოდ, რომ ყველა ეს ზომები დღევანდელ პირობებში სიძვირისგან ვერ გვიხსნის, ისინი მხოლოდ მასთან ბრძოლას გვიადვილებენ, რამდენიმეთ მის სიმწვავეს ასუსტებენ, მაგრამ ძლევით კი მას ვერ სძლევენ. მით უფრო ვერ ერევიან და მის გავლენას საგრძნობლათ ვერ აქრობენ, რომ დღევანდელი პოლიტიკური რეჟიმის მესვეურნი თავისი „კრიტიკული მდგომარეობის“ გამო ამ მხრითაც თავისივე გეგმის შესრულებას ველარ ახერხებენ. რყევის და ყოყმანის „პოლიტიკა“ ვერავითარ საქმეს ვერაოდეს ვერ გაუძღვება. ამას რუსეთში ათასგვარი „შიმშილობის“ გაჩენა აშკარათ მოწმობს.

პურით მდიდარ რუსეთის ბევრ ქალაქს დღეს პური აკლია. უტეხი, დაუსრულებელი სივრცის ტყეებით შემოსილ ქვეყნის სატახტო ქალაქებში „შეშის შიმშილობა“ მძინვარებს და ქვანახშირის და ნავთის უშრეტ მადნების პატრონს დღეს წარმოებისთვის „სათბობი“ მასალა აღარ ყოფნის! აი ფაქტები, რომელიც ნათლათ გვისურათებს რუსეთის ახლანდელი მთავრობის საქმიანობის უნარს და გამჭრიახობას. ის იმასაც ვერ აკეთებს, რაც სურს გააკეთოს და რის გაკეთებისათვის ყოველგვარი ძალა უფლება და საშუალება ხელთა აქვს. ეს ერთი.

ნინი" შემდეგს იტყობინება: მდ. დნეპრით ქ. ეკატერინოსლავიდანაც ბევრი რამ ძვირფასი გაიტანეს. კიევო-პეჩორის სავანედან ყველა ძველი ძვირფასი ხელნაწერები, რომელმაც სავანეს უძველეს სტამბაში იყო აღბეჭდილი; გადაიტანეს აგრეთვე: ძვირფასი ხატები, საეკლესიო ჭურჭლეულობა, სტამბის შრიფტი და სხვა. თუ ვინიცობაა კიევის დაცლა ოფიციალურათ გამოცხადდა, მაშინ კიევის ბერ-მონაზვნები საროვის უდაბნოში უნდა მოთავსდენ, ხოლო პეჩორის სავანე ყველასგან, მიტოვებული მაინც არ დარჩება, თუნდაც კიევი მტერს დაუთმონ. სავანეში დარჩება უხუცესი არქიმანდრიტი და 20 მდე მოხუცი ბერმონაზონი, რომლებმაც აღთქმა და ხელწერილი დასდვეს, რომ უშიშრათ დაიცავენ სავანეს წმიდათა წმიდას, ვიდრე მათ პირში სული უდგათ. სასულიერო აკადემიის გამგეობამ დაადგინა, რომ თავისი ბიბლიოთეკა, მუზეუმი და არქივი ქ. ყაზანში გადაიტანოს. მთელი ეს ქონება 30,000 ფუთს იწონის. კიევის დაცლა და იქედან დიდი დაწესებულებების გადატანა გრძელდება, მცხოვრებნი ისევ გადიან ქალაქიდან (რ. ვ.)

### მუშების პასუხი.

ინგლიისის სამხედრო მინისტრმა, კიტჩენერმა და მინისტრ პრეზიდენტმა ასკვიტმა ამ დღეებში მუშების წარმომადგენლებთან მოლაპარაკება გამართეს. მინისტრებმა მათ განუმარტეს და დაუსურათეს ბრძოლის ველზე საქმის მდგომარეობა და შეეკითხენ მუშებს, თუ ისინი რა მონაწილეობას მიიღებენ საქმეში. მუშათა წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ შესაძლებლათ მიაჩნიათ ვოლონტერების საკმაო რიცხვი შეკრიბონ, რომლებიც სამხედრო მასალის დამზადებას იკისრებენ. ამასთან მუშებმა მინისტრებს აღუთქვეს, რომ ისინი ეცდებიან, რომ მთელ ბრიტანეთში თავისუფალ მეომართა საკმაო რიცხვის მოკრების სასარგებლოთ კამპანია გამართონ. რ. ვ.

### ბარანოვიჩი—პინსკის რაიონში

აქ ამ ბოლო დღეებში დიდი წვიმები იყო; პოლესიემ თავისებური საშემოდგომო დაღვრემილი სახე მიიღო. დაბლობი ადგილები ტბებათ გადაიქცენ და მშრალ ზეგანი ადგილებში კი გაუვალ ჭაობებათ. გზები საშინლათ ატალახდა. აქ დარჩენილი გერმანელი არმიის ნაწილი თავბედს იწყევლის. უგზოობის და ჭაობების გამო არც სურსათის მიზიდვა შეიძლება და არც სამხედრო მოქმედება. შიმშილობის გარდა აქ მტრის ჯარს ბევრნაირი ავათმყოფობაც აწუხებს, მაგალ. მალარია. (რ.)

### მაშველი ჯარი.

მდ. სერეტის ნაპირებზე, სადაც ამ რამდენიმე დღის წინათ რუსის ჯარმა ავსტრიელები გარეკა, ახლა მტერს ახალი მაშველი ჯარი მოსვლია და გერმანელებსაც მათთვის მრავალი პულემიოტები მიუშველებია. გერმანელ აფიცრების ხელმძღვანელობით ახლა ისინი გერმანულ თავდაცვის სისტემას დაადგენ. (რ.)

ქ. ლუცკში ავსტრიელების შემოსვლის წინ საშინელი სიძვირე ჩამოვარდა თურმე. ერთი ლუცკიდან გამოქცეული გიმნაზიელის გადმოცემით, როგორც გაზ. „რეჩი" სწერს, „გირვანქა მარილი იყიდება 35 კაპეიკათ, შაქარი კი 50 კაპეიკათ. მთელი ქალაქი ერთიანათ ჩაკვდაო", უთქვამს ტყეობიდან გამოქცეულ ახალგაზდას.

### რუსეთის ულტიმატუმი.

— როგორც გაზეთები იუწყებიან რუსეთის ულტიმატუმმა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ბულგარეთში. მეფე-ფერდინანდი და მისი მინისტრები რუსეთისაგან ამას არ მოელოდენ.

— პეტროგრადის დიპლომატების აზრით ბულგარეთი რუსეთის მოთხოვნაზე რომ ჯარიდან გერმანელი აფიცრები გააძევოს, უპასუხებს, რომ ასეთი არაფერი მომხდარა ბულგარეთის ჯარშიო, ხოლო რაც შეეხება გერმანიისგან დაახლოვებას და მისგან სესხის აღებას, ეს მის უფლებას შეადგენს და მის წინააღმდეგ წასვლა დამოუკიდებლობის შელახვას მოასწავებსო.

— რადგან ბულგარეთში გასაგზავნი დეპეშები ახლა რუმინიის გზით მიდის და რადგან თვითონ ბულგარეთის ტელეგრაფიც მობილიზაციის გამო მეტათ ნელა მუშაობს, ამიტომ რუსეთის ულტიმატუმის ჩაბარება დაგვიანდა. ულტიმატუმი სოფიაში საღამოს მიიღეს და მეორე დღეს ნაშუადღევის 4 საათზე ჩააბარეს ჩაბარება რა მიზეზით დაგვიანდა, ეს გამოურკვეველია.

— სოფიიდან იუწყებიან: 22 სექტემბერს ულტიმატუმის ჩაბარების შემდეგ რადოსლავოვის წინადადებით მეფე ფერდინანდმა გვირგვინოსანთა საგანგებო საბჭო შეყარა, რომელშიაც მინისტრებმა მიიღეს მონაწილეობა.

— როგორც სააგენტო დეპეშებიდან ვიცით 22 სექტემბრიდან მოკავშირეების ელჩები სოფიაში აღარ დარჩებიან. (კ. ს.).

### ჩრდილოეთის ფრონტზე.

საქმეთა მდგომარეობა რუსეთის ფრონტზე ირკვევა: როგორც ყველაფერიდან სჩანს ჩრდილოეთის ფრონტზე ბრძოლას უპირველეს მნიშვნელობას აძლევს მტერი; კერძოთ დვინსკის წინააღმდეგ ბრძოლა იპყრობს მათ მთავარ ყურადღებას, ვინაიდან მდინარე დვინის ნაპირებზე დამკვიდრების შემდეგ გერმანელებს საშუალება მიეცემათ გზა ადვილათ გაიკაფონ პეტროგრადისაკენ და საზოგადოთ ბალტიის მხარეში მტკიცეთ დამკვიდრდენ. მაგრამ რუსის დიდიძალები აქ თავმოყრილნი ამის ნებას არ აძლევენ მტერს და უმკლავდებიან. მტერი მეორე რაიონშიაც ცდილობს გზა გაიკაფოს წინ; სახელდობრ საარნისაკენ სადაც რუსის ჯარი დიდ წინააღმდეგობას უწევს. (რ).

### საბერძნეთის პროტესტი.

„მოსკოვსკაია ვედომოსტის" გადმოცემით საბერძნეთმა სალონიკში საფრანგეთის ჯარის გადმოყვანის წინააღმდეგ პროტესტი განაცხადა. (თ. ვ.)

მეორე იმას ვამბობ, რომ ყველა ზომით ჩამოთვლილი პოლიტიკური ზომების მიღება და ცხოვრებაში გატარება, სიმართლე უნდა ვთქვათ, იმიანობის პირობების, განსაკუთრებით ბრძოლის ველზე რუსების დამარცხების გამო მეტათ ძნელი და უხერხული ხდება.

რკინის გზები და მატარებლები ჯარების გადაყვან-გადმოყვანას უნდება, კოოპერატივების განვითარება-გაღონიერება მცხოვრებთა ერთგვარ ეკონომიურ კეთილდღეობაზეა დამოკიდებული და მოგეხსენებათ თუ დღეს რა კეთილდღეობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა „მოსავალიც გამქრალია" და „შემოსავალიც" არსაიდან სჩანს; რაც შეეხება რუსეთის ქალაქების ან ერობის თვითმართველობათ, უნდა ითქვას, რომ ისინი მხმარებელთა მასის უმრავლესობის ორგანიზაციას არ წარმოადგენენ, ისინი დემოკრატიის ინტერესებს ვერ დაიცავენ; დღევანდელი ჩვენი ქალაქების „საბჭოები" და „გამგეობანი" სახლის პატრონების, ვაჭრების, მრეწველების და ასეთების აგენტები არიან და ცხადია აგენტი თავის მომავლინებელის ინტერესს ვერ უღალატებს.

სულ სხვა იქნებოდა, რომ თვითმართველობა სრულ დემოკრატიულ პრინციპზე იყოს აგებული! მაშინ საქმეს თვითონ მხმარებელთა მასის მოწინავე დემოკრატია ჩაუდგებოდა სათავეში და სიძვირის წინააღმდეგ ბევრ სათანადო ზომებს მიიღებდა, რომ ხალხი „შიმშილისაგან" ეხსნა. მიუხედავათ იმისა, რომ დღეს რუსეთის დიდი სამრეწველო ცენტრები „გადმოხვეწილთა" მასსებით აივსო, და ამის გამო ცხოვრება მეტათ გართულდა—გაძნელდა, მუშებმა მაინც მოინდომეს საქმეში ჩარევა: ამ საკითხის გამოსარკვევათ საზოგადო კრებები გამართეს და მუშათა ხელმძღვანელი კომიტეტიც აირჩიეს.

უნდა ვიფიქროთ, რომ მუშები ამ პირობებშიაც მეტ უნარს და მეტ გამჭრიახობას გამოიჩენენ თავიანთ ამხანაგების დახმარების საქმეში, ვინემ მოპირდაპირე კლასის და მთავრობის წარმომადგენლები.

მაგრამ ისიც ცხადია რომ ისინი თავის უანგარო თავდადებულ მოღვაწეობაში ბევრ ანტიდემოკრატიულ და ბიუროკრატიულ გადუვალ დაბრკოლებას შეეხჩებიან წინ, და აი ამ გარდუვალი დაბრკოლების გადალახვა არის დღეს უპირველესი საჭიროება: რომ ფართე გზა გაეხსნას მრავალ მილიონიანი რუსეთის ხალხის ზღვა ენერგიას, დემოკრატიის წინსვლას, რომ მან თვითონ „იხსნას" სიძვირისგან და „საერთო სამშობლოც" გაანთავისუფლოს მტრის შემოსევისაგან!

აქედან სიძვირისაგან ხსნის ერთად ერთი გზა იმ პოლიტიკურ დაბრკოლებათა დაძლევაა, რომელიც მხოლოთ რუსეთის ერთად ერთ კლასს შეუძლია.

მაშ ასე: ჯერ პოლიტიკური დაბრკოლების დაძლევა, პოლიტიკის ძირიანათ შეცვლა, მერე „საერთო სამშობლოს" ხსნა როგორც მტრისგან ისე სიძვირისგან.

ახალი მთავრობა, ახალი პოლიტიკა! აი, რა დაგვაყენებს ჩვენ სიძვირისგან საბოლოოთ ხსნის გზაზე!

დილი.



ქუთაისის ქართველ მსახიობთა ამხანაგობის დასის რეჟისორი—შალვა დადიანი.

(1915—16 წლის სეზონი).

# ქ რ ო ნ ი კ ა.

(ჟურნალ-გაზეთებიდან.)

## რ უ ს ე თ ი.

### ცენზურის გაძლიერება.

როგორც გაზეთებიდან ვიცით წინასწარი ცენზურის შემოღების აზრი, მინისტრებს შჩერბატოვს და გორემიკინს არ გაუმართლდათ: საბჭოს უმრავლესობამ უარჰყო იგი და ამ ნაირათ ბეჭვდითი სიტყვა ისევ ძველ პირობებში დატოვა. მაგრამ ბიუროკრატიული წრეები მაინც თავისას არ იშლიან და ცდილობენ როგორმე პრესის ისედაც შევიწროებული პირობები კიდევ უფრო შეავიწროვონ. როგორც ამბობენ ამ მიზნით, აზრათ აქვთ ბეჭვდითი სიტყვის საქმეთა მთავარ გამგეობას ძველი ცირკულიარები ისევ აღადგინონ. (რ. ვ.)

### ტაქსა ბინაზე.

საუწყებათაშორისო თათბირს აზრათ აქვს ბინაზე ტაქსა დააწესოს. მინისტრები საჭიროთ ცნობენ, რომ ბინის საკითხი ფასების მოწესრიგებით გადაწყდეს. უნდა შეიმუშაონ წესები, რომლის თანახმათ ბინაზე განსაზღვრულ ტაქსას შემოიღებენ და სისრულეში მოიყვანებენ. კითხვა ახლა მხოლოდ იმაშია, თუ ვის უფლებაში იქნება ამ საქმის მოწესრიგება: ადმინისტრაციის ხელში დატოვებენ, თუ ადგილობრივ თვით მართველობას მიანდობენ? საფიქროა, რომ ამ საკითხში ისევ ადმინისტრაციამ გაიმარჯვოს. (რ. ვ.)

### ვოლგის ნაპირებისაკენ.

სარატოვიდან დეპეშით იუწყებიან, რომ იქ ცნობა მიიღეს: მთელი გუბერნიის შარა გზები „გადმოხვეწილთა" მასსებით არის გაჭედილი; მათი რიცხვი 600,000 გადააჭარბებს. თანამედროვე „ხალხთა გადმოსახლება" სწორეთ ეს არის. (რ. ვ.)

### მისაბაძი მაგალითი.

ქ. ვორონეჟიდან კორესპონდენტი იუწყება: საგუბერნიო ერობის კრებამ დაადგინა ცხოვრების გაძვირების გამო ყველა თავის მოსამსახურებს ჯამაგირი გაუდიდოს.

### გადმოხვეწილთა წინააღმდეგ.

მოსკოვის გუბერნატორმა შინაგან საქმეთა მინისტრს დეპეშით სთხოვა, რომ განკარგულება მოახდინოს, რათა მოსკოვის გუბერნიის საზღვრებში გადმოხვეწილთა შემოსვლა აეკრძალულ იქანმს, რადგან აქ სანოვაგის შოვნის საქმე მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია; ამასთან არ იშოვება არც ბინა და არც შეშა. (რ. ვ.)

### სიძვირის წინააღმდეგ.

პეტროგრადის მუშებს განზრახვა აქვთ, რომ 4 მარტს კანონის თანახმათ გამართონ საზოგადო კრება, რომელზედაც სანოვაგის სიძვირის წინააღმდეგ მისაღებ ზომებს გამოარკვევენ. (დ.)

### მეფაბრიკეს გაძევება.

შინაგან საქმეთა სამინისტრომ პეტროგრადის ცენტრალურ სამხედრო-სამრეწველო კომიტეტს აცნობა, რომ მეფაბრიკე ებრაელის შაპიროს პეტროგრადში ცხოვრების ნება იმ შემთხვევაში შეგვიძლია მივცეთ, თუ იგი სამხედრო უფროსების მოწმობას წარმოადგენს იმაზე, რომ მის ფაბრიკაში სამხედრო უწყებისაგან დაკვეთილი სამხედრო მასალა დაუბრკოლებ ლივ მზადდება. დ.

# ახალი ამბავი.

## ქუთაისი.

### დღესასწაულების გამო ჩვენი გაზეთის მორიგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 29 ეკენისთვეს.

✦ გუშინ მასწ. ან. ოდიშარიამ წარუდგინა ბ. გუბერნატორს დასამტკიცებლად ხუთი კაცის მიერ ხელმოწერილი წესდება მასწავლებელთა კავშირის დასაარსებლად. წესდება კარგათ არის შედგენილი.

✦ ახლად შემდგარი დასი უკვე გროვდება. თბილისიდან უკვე ჩამოვიდნენ ზარდალიშვილი კორიშელი, ბეჟანიშვილი, შოთაძე. ამ დღეებში ჩამოვიდენ ეფ. მესხი, მარო მდივანი, ელო ანდრონიკაშვილი. რეჟისორი უკვე ამზადებს პირველ წარმოდგენისათვის სათანადო მორთულობას, დეკორაციას და სხვ.

დრ. საზ. გამგეობა უკვე შეუდგა თეატრის ზოგიერთ მორთულობის გაუმჯობესებას, შეკეთებას და ახალის შეძენას.

პირველი წარმოდგენა შესდგება ხოლო 1-ლ. ოქტომბ. წარმოდგენილ იქნება „სინათლე." ბილეთებზე ხელის მოწერა უკვე მიიღება თეატრის კასაში.

✦ ხუთშაბათს, 24 სექტემბერს, ქუთაისის სამხედრო კომისიამ დაათვალიერა საოლქო სასამართლოს მახლობლათ მდებარე ელიგულაშვილისა (ყოფილ თოფურიას საავადმყოფო) და კაკიტელაშვილის სახლები. განზრახვა აქვთ ამ სახლებში მოაწყონ საავათმყოფო დაჭრილ ჯარისკაცთათვის.

✦ დღეს, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლებს კერძო თათბირი ექნებათ იმ საკითხების გამო, რომელიც განხილული უნდა იქნეს კვირას, 27 ეკენისთვეს, მთელი გუბერნიის თავადაზნაურთა არა ჩვეულებრივ კრებაზე.

✦ ქუთაისის ქალაქის ბეითალი ბოგმანიანცი სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუყონებლივ გაიგზავნოს ერთი „სლესარი" ქალაქის საქონლის სასაკლაოზე, წყლის მილის მოსაწყობათ, რომელი მილიც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს სასაკლაოსათვის.

✦ ქუთაისის გუბერნიის სამმართველო ატყობინებს ქუთაისის ქალაქის გამგეობას რომ გუბერნატორი უკვე შეუთანხმდა სახაზინო პალატას, რათა გადასცენ განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით ქუთაისის ქალ. გამგეობის განკარგულებაში 1915 წელს 17296 მან. გადამდებ სნეულებათა წინააღმდეგ საბრძოლათ.

✦ ქუთაისის გუბერნატორი სთხოვს ქალაქის გამგეობას, გაუგზავნოს ამ ჟამათ არსებული ნიხრი ეტლების და დროგბისა თბილისის ფოსტა ტელეგრაფის გამგეობას.

✦ სოხუმის ქალაქის თავათ არჩეული, თდ. ნ. კ. თავდგირიძე ქუთაისის გუბერნატორმა უკვე დაამტკიცა იმ თანამდებობაზე.

✦ ივანოვის ქუჩის მცხოვრებლებმა შუამდგომლობა აღძრეს პატრ დონდამიანეს წინაშე, რათა მათ მიეცესთ უპირატესობა, ძველ საკათოლიკე სასაფლაოს მახლობლათ სავაჭრო მოედნის დაარსების შესახებ და არა ვინმე კერძო.

✦ ამ ჟამათ ქუთაისის ბაზარზე ყურძენი ძლიერ ცოტა შემოდის, ფუთი 4 მ. ფასობს.

✦ დღეს ქუთაისის ქართულ თეატრში ადგილობრივი მანდილოსნების მეთაურობით გაიმართება წარმოდგენა რუსულათ.

წარმოდგენილი იქნება პიესა „სასჯელი" და შესრულებული იქნება „ციგანკის რომანსი" შემოსავალი გადადებული იქნება კავკასიის ჯარის კაცთა სასარგებლოთ.

# წერილი რაჭიდან.

ამას წინათ დ. ონში იყვნენ მოწვეული ყოველი „საზოგადოებიდან მამასახლისები თავისი მწერლებით. პოლიციის სამმართველოში უნდა გამართულიყო თათბირი, იმაზე, თუ სად უნდა დაარსდეს „ვოლოსტის სასამართლოები, რომელი საზოგადოება რომელისთვის უნდა შეერთებიათ და სხვა.

მამასახლისებს გარდა მიწვეული იყვნენ ქვემო რაჭიდან თ. დიმიტრი ყიფიანი და სტეფანე ბიჭაშვილი. ეოფილა ლაპარაკი წესის საზოგადოების შეერთებაზე ამბროლაურთან. ამბროლაურის საზოგადოება ყოფილა ოთხას კომლზე ნაკლები და ოთხას კომლზე ნაკლები საზოგადოება ახალი კანონით უნდა შეუერთდეს სხვა საზოგადოებას. წესის საზოგადოებაში კი ირიცხება 450 კომლზე მეტი გლეხი და აზნაური, ასე რომ წესი არც სხვა საზოგადოებას საჭიროებს რომ შეიერთოს და არც თითონ შეუერთდება, და თუ შეერთება იქნა სასურველი, იმ შემთხვევაში, კომლთ მცირე რიცხვიანი უნდა შეუერთდეს კომლთა მეტ რიცხვიან საზოგადოებას და ასეთი სასამართლო უპრიანი იქნება დაარსდეს იმ საზოგადოებაში, რომელშიაც კომლთა რიცხვი მეტია. წესს, მრავალ მხრივ ეძლევა უპირატესობა ამბროლაურზე, რომელსაც აქვე ავსწერთ. წესის საზოგადოება არსებობს ზედ საფოსტო გზა-ტკეცილზე, სადაც დაარსებულია ფოშტის განყოფილება, ფოშტის სადგური, წვრილი კრედიტის ამხანაგობა, აფთიაქის მაღაზია, ორი აბანო გოგირდის წყლისა, სკოლა. აქ უცხოვრია დიდ როსტომ ერისთავს, რომლის საუკეთესო ხელოვნებით აშენებული ეკლესია ბარაკონად წოდებული, დღესაც განცვიფრებაში მოდის მნახველი. წესის აღმოსავლეთის მხრით ერთი გორაკიდან ამაყად გადმოიყურება როსტომის აშენებული ციხე, მინდა ციხეთ წოდებული... მართალია, ამბროლაურში არის დაარსებული საავათმყოფო, სამაზრო სამმართველო, ნაწილის ბოქაულიც იქ ცხოვრობს, მაგრამ ამით არა გვგონია, რომ უპირატესობა ამბროლაურს ეკუთვნოდეს, მით უმეტეს, რომ ყოველი სოფელი, რომელიც გზა-ტკეცილზე არის დაშორებული, ის სოფელი მოწყვეტილია საერთო მაჯის ცემას, იქ სიცოცხლე კი არა სდუღს და გადმოდის, არამედ ფორიაქობს, სულ მობრძავია. ამბროლაურს დასავლეთით ჩაუდის მდ. კრიხულა, როდესაც ეს წყალი ადიდდება, მაშინ ხომ კაი ბედაურითაც ვერ გავა ადამიანი. ამიტომ, ჩვენის ფიქრით, უმჯობესი იქნება, წესი თავის ფარგალშიდავე დარჩეს, და თუ არ მოიშლიან და ამბროლაურსაც შეუერთებენ, მაში „ვოლოსტნოი" სასამართლო რომ წესში დაარსდეს ძალიან უკეთესი იქნება.

ვანო შიშინაძე.

## აჭარლების საქმე.

(გაგრძელება).

შავშეთ-იმერხევის ოლქის უფროსის თანაშემწეობის აღმასრულებელმა, მოწმე ნიკოლენკომ განაცხადა, რომ მან დაატყვევა ხუსეინი, ალი და იუნუსი იმისთვის, რომ ისინი ზემო აჭარელ მცხოვრებთა სიაში დაკლებულ პირებათ იყვნენ აღნიშნული. დამცველი მუატის შეკითხვაზე ბ-ნი ნიკოლენკო ფრიად საყურადღებო ჩვენებას იძლევა. ის ამბობს, რომ სოფელ ოქრობაკეთის მცხოვრები სომხები ბრალდებულებს დიდ პატივს სცემდენ, ისინი მიაჩნდათ მხსნელათ და მთხოვეს არ დამეტუსაღებია. მისი აზრით და დაკვირვებით ბათუმის ოლქში მცხოვრებ სომხთა და აჭარლების შორის მეგობრული მეზობლობა სუფევდა, დღეს კი კეთილგანწყობილება გაჰქრა და მის მაგიერ მტრობაა. ამას ხელი შეუწყო ერთის მხრით აჭარლების ღევნა-ჩხრეკამ და მეორე მხრით მუსულმანთა საწინააღმდეგო აგიტაციამ. აჭარელთა, როგორც სარწმუნოებით მუსულმანთა საწინააღმდეგო აგიტაცია იმ წამიდან (მომენტიდან) დაიწყო, როცა ბათუმის ოლქის რაიონში გაჩნდა სომხების მასწავლებელი ტერ-მანუელიანი. ის შური და მტრობა, რაც არსებობს ოსმალეთის სომხებსა და იქაურ მუსულმანთა შორის ამ მასწავლებელმა გადმონერგა აქაურ სომხებსა და აჭარელ მუსულმანთა და მათ შორისაც გაღვივა სარწმუნოებრივი განხეთქილება, ხალხზე ცუდი გავლენის მოხდენისათვის მასწავლებელი ტერ-მანუელიანი კავკასიის საზღვრებიდან გაძევებულ იქმნა, მაგრამ მისმა აგიტაციამ ნაყოფი გამოიღო: ზოგიერთა სომხებმა ცრუ მოწმეთა წყალობით იწყეს მუსულმანთა ცილისწამება; იყო მისი მაგალითი, რომ სომეხმა აჭარელს მოსთხოვა ქრთამათ ფული და თუ არ მისცემდა ემუქრებოდა მთავრობასთან დაბეზღებით. იყო შემთხვევა, როცა სომხები თავს დაესხნენ აჭარლებს და გაცარცვეს. ყველა ეს გადაცემული აქვს სასამართლოს და ეს საქმე ადრე გაირჩევა. ამას დასძინა მოწმე ნიკოლენკომ, რომ სომხებმა სთხოვეს მთავრობას ის მიწა, რომელიც ეკუთვნოდა მოკლულს ან ოსმალეთის ჯარის მიერ ტყვეთ წაყვანილ აჭარლებს ჩვენ მოგვეცითო. ამ თხოვნებს მის ხელში გაუვლია. ვექილი ანჯაფარიძის შეკითხვის საპასუხოთ ნიკოლენკო ამბობს, რომ ბრალდებულმა ალიმ, იუნუსმა და ხუსეინმა რუსის ჯარს ღირსშესანიშნავი ამაგი გაუწიათ.

დამცველ მუატის შეკითხვაზე მოწმე უპასუხებს, რომ აჭარელთა დამოკიდებულება რუსის ჯართან სანაქებოზე მეტიც იყო და არც კი შეეფერებოდა მაშინდელი დროის მდგომარეობასა და განწყობილებას. რაიცა შეეხება ხულოში მომხდარ დარბევას (პოგრომს) მოწმე ამბობს, რომ ხულოში დარბევა არ ყოფილა, რადგან ხულოდან მთავრობის დაწესებულებანი თავიანთი ქონებით თავის დროზე გადაიტანეს. ქრისტიანებმაც თავიანთი ქონება ზოგმა წაიღო, და ზოგმა ისევ მუსულმანებს მიაბარეს შესანახათ. ზოგიერთა სახლის მინები ჩამტვრიეს, ეკლესიის ქონება კი, როგორც ვიცი არავის გაუტაცნიაო, დაასრულა მოწმემ.

მოწმე ჯამალ-ბეგი ხიმშიაშვილი (аджарскій), რომელიც ირიცხება კავკასიის სამხედრო შტაბის განკარგულებაში და რომელიც იმ დროს განწესებული იყო ქოროხის რაიონში, სასამართლოს ურკვევს, თუ როგორ იყო მოწყობილი ხულოელების დეპუტაციის საქმე ოსმალების ჩეთნიკებთან. ამ დეპუტაციასთან არის დაკავშირებული ბრალდებულის ყადი ბერიძის ბრალდება. ბერიძეს ბრალდება ოსმალთა ჩეთნიკებისაგან იარაღის მიღება და აჭარლებზე გადაცემა. მოწმე აღნიშნავს, რომ დეპუტაციის გაგზავნა ჩეთნიკებთან გადაწყდა შავშეთ იმერხევის ოლქის უფროსის ნიკოლენკოს თანადასწრებით და მისივე ნებართვით. ბრალდებული 65 წლის მოხუცია ის 32 წელიწადი იყო „ყადათ*), რუსის მთავრობის დიდი ერთგულია და მთელ ოლქში ხალხის სიყვარული და ნდობა აქვს დამსახურებული, დეპუტაციაშიაც ამიტომ აირჩიეს. დეპუტაციას ხალხმა დაავალა — სთხოვეთ ჩეთნიკებს, ისე ნუ დაგვარბევს, როგორც ქვედა აჭარა დაარბიესო. რაიცა შეეხება აჭარლებს, ჩეთნიკებს მათი მიმხრობის იმედი ნუ ექნებათ, ხალხი მათ (ჩეთნიკების) მხარე არ გადავლენო. მოწმე ბეგმა განაცხადა, რომ მეორე წევრი დეპუტაციის გაშვებულია და დღეს ამ საქმეზე მოწმეთაც არის მოწვეული, დანარჩენ მოწმეებს ახალი და ღირსშესანიშნავი არაფერი უთქვამს.

მოწმეთ დაკითხვის შემდეგ სასამართლომ განიხილა ბრალდების დასამტკიცებელი საბუთები ასეთი „საბუთი“ იყო სხვათა შორის ჩეთნიკების წასვლის შემდეგ ხულოში ნაპოვნი ქაღალდი, რომელზედაც ეწერა ბერიძე და ჩაგალიძე, რომლებიც ამ საბუთის მიხედვით მისცეს სამართალში. მეორე დღის სხდომა ამით დათავდა.

მესამე დღის სხდომაზე, 19 სექტემბერს, სასამართლომ განაგრძო საბუთების განხილვა და შემდეგ დაკითხეს მოწმეთა მთელი რიგი. რომელთა უმეტესობა ბრალდებულთა სასარგებლო ჩვენებას იძლევა. დამცველთა მოთხოვნის თანახმად სასამართლო აქვეყნებს სომხების დადგენილ განაჩენს ალისა, ხუსეინის, იუნუსის და მარჯანის შესახებ, რომელთაც სომხის სოფელი ოქრობაკეთი ადასტურებს, რომ ხსენებულმა პირებმა ისინი (სომხები) იხსნა გაულეტისა და დარბევისაგან. აქვეყნებენ აგრეთვე რუსის ჯარის „ატრიადის“ უფროსის ოფიციალურ ბარათს, რომელშიაც მოხსენებულია, რომ ხსენებული ბრალდებული რუსის ჯარს დახმარებას უწევდენ. ამის შემდეგ სიტყვას ამბობს ბრალმდებელი. იგი თავის სიტყვაში ამბობს, რომ მას სრულებით სახეში არ აქვს ბრალი დასდოს ყველა აჭარელს, ეს მისთვის არავის არ დაუვალებია და საამისო საბუთიც არ აქვს, რამდენიმე პირის დანაშაული და შეცოდება მთელ ხალხს მოახვიოს თავზე. თვით საბრალმდებელო ოქმშიაც მთელი ხალხის, აჭარლების ბრალდებაზე არაფერია ნათქვამი და შემცდარია ის, ვინც ფიქრობს, რომ დღეს ასამართლებენ აჭარლებს, როგორც ეს ერთმა დამცველმა განაცხადა ყველა მოწმე იმიტომ იყო მოწვეული, რომ დაედასტურებიათ ბრალდებულის სკამზე მყოფთა დანაშაული და არა მთელი ხალხის. ამრიგათ ის უარს აცხადებს მთელი ხალხის ბრალდებაზე და ჩამოთვლის რა თვითეულ ბრალდებულის დანაშაულს მოითხოვს მათ სიკვდილით დასჯას. („ზ. დ.“).

(შემდეგი იქნება.)

*) ყადი—მსაჯული, მეჯლისის (სამსჯავროს) წევრი არჩევით.

## პროვინციის ცხოვრება.

**დ. ზესტაფონი.** სამშაბათს, 22 ენკენისთვეს, დილის 11 საათზე, ზესტაფონის საკრებულო საზოგადო დარბაზში მიწვეული იყო, ზესტაფონის წვრილი კრედიტის ამხანაგობის გამგეობისაგან შორაპნის მაზრის კრედიტის ამხანაგობათა 22 წარმომდგენლები მოსალოდნელ შიმშილობისა გამო. 22 ამხანაგობიდან გამოცხადდა 16. იქვე იყვნენ: გ. დიასამიძე, პ. საყვარელიძე, ი. ქუთათელაძე და ბევრი გარეშეც. კრება გახსნა კრედიტის ინსპექტორმა ბ. ნიჟარაძემ, რომელმაც წინადადება მისცა იქ დამსწრეთ აერჩიათ თავმჯდომარე. ამ თანამდებობაზე კრებამ ერთხმად აირჩია თვითონ ინსპექტორი, მის ამხანაგად ი. გუნცაძე, ხოლო მდივნად კ. მოდებაძე. თავმჯდომარემ სთხოვა კრებას ზეზე ადგომით პატივი ეცა მგოსნის ვაჟა-ფშაველას ხსოვნის. ამას შემდეგ ბ. ნიჟარაძემ წაიკითხა თვისი მოხსენება თანამედროვე მდგომარეობის შესახებ და გამოსთქვა სურვილი შიმშილობის თავიდან ასაცილებლად ახლავე ღონის ძიების მიღებაზე.

უმთავრესი საგანი იყო შიმშილობის თანახმად საანკეტო ფურცლებისა, რომელიც წინ და წინვე დაურიგებია ინსპექტორს. ამ კრებაზე წარმოადგინეს სიტყვიერად და წერილობით გამგეებმა მათდამი რწმუნებულის საზოგადოებათა მდგომარეობა ამ ჟამად. მათის ხსნებიდან სჩანს, რომ საზოგადოთ შორაპნის მაზრა დიდს განსაცდელშია წელს ღვინისა და სიმინდის მოუსავლობის გამო, მაგ. ყველამ ერთად აღიარეს, რომ ღვინის მოსავალი, ან სულ არ იქნება და, თუ იქნა სათქმელად არ ეღირებაო, სიმინდი კი ერთი ერთმანეთზე მეათედი თუ იქნება შარშანდელი წლის მოსავალთან შედარებით. დადგენილ იქნა: ახლავე შეუდგენ თადარიგს სიმინდის გამოსაწერად, ხოლო საჭირო რაოდენობა მისი აღიარებულ იქნა მინიმუმი 300,000 ფუთი. სიმინდის შესაძენად შემდეგი საშუალებანი გამონახეს:

1). ადგილობრივი და საიმპერიო სასურსათო თანხების გამოთხოვა მთავრობისაგან, 2). დახმარება ბანკებისა და სხვა დაწესებულებასთან, 3) მოკლე ვადიანი კრედიტის გრძელ ვადიანად შეცვლა. 4) საშუამავლო ოპერაციის გახსნა და 5) სინდისიერი და ამოცდელი კონტრაგენტის გამონახვა. აირჩიეს ბიურო ხუთი საზოგადოდან, თითო თითო: ი. გუნცაძე, ივ. ალავიძე, ლ. პიპაშვილი, დეკ. ი. წერეთელი და მღ. აბ. იაკობაშვილი. ამ ბიუროს შეუძლია დაიხმაროს კოოპტაციის სახით ადგილობრივი ძალებიც; იქვე აირჩიეს მღვდელი კიკნაძე და აგრონომი რ. გელევანიშვილი. ამ ორგანოს მიენდო: სიმინდის გამოწერა, საშუალებების მოსაპოვებლად შუამდგომლობის აღძვრა, სადაც ჯერ არს, შაბიამნისა და გოგირდის მოტანა ინგლისიდან, მოსკოვის ბანკის საშუალებით, და ამ თავითვე 5 მანეთის ბეთ წარდგენით, მევენახეებისაგან თითოეულს დაკვეთილ ფუთს შაბიამანზე.

მეორე საგანი, რომელმაც დიდი კამათი გამოიწვია, იყო აგრონომიული დახმარება. ეს დახმარება უნდა გამოიხატოს სათესლეს გამორჩევაში, აგრონომთა შტატების გამრავლებაში, საცდელ მინდვრებისა და სანერგეების მომატებაში, სამეურნეო სასწავლებლის გახსნა და მეურნეობაზე ლექციების კითხვაში.

კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია: ეთხოვოს მთავრობას, რაც შეიძლება დააჩქაროს ჩვენში ერობის შემოღება, რომელიც მოაწესრიგებს ძალებს და ხელს შეუწყობს მტკიცე ნიადაგზე ხალხის დამხმარე ორგანიზაციის მოწყობას.

კრებაზე ილაპარაკა ბ. გრ. დიასამიძემ შესახებ დასავლეთ საქართველოს მევენახეთა ამხანაგობის დაარსებისა ქ. თფილისში „ალექსანდრეულის“ სახელწოდებით.

კ. მოდებაძემ მევენახეთა საყურადღებოდ სთქვა, რომ ამ ცოტა ხანში საქმის სანერგეს ექნება გამოწერილი და შეძენილი სხვა და სხვა საშუალება ღვინის გასაუმჯობესებლად.

ბ. ი. ქუთათელაძემ წინადადება მისცა იქვე ყველას დაევალებიათ ბიუროსთვის: საუკეთესო ჯიშის აბრეშუმის თესლის გამოწერა. და ვისაც ენებება ბჟოლის თუთის ნერგების მიღება ქუთაისიდან.

დასასრულ კრებამ მადლობა შესწირა ინიციატორთ, კრების მოწვევისათვის და ნასიამოვნები დაიშალა 5 საათზე.

კ. გძელი.

—

**ს. ნაგარევი.** იშვიათია სოფელი, ისე უპატრონოთ დარჩენილი როგორც სოფელი ნაგარევია; გულს გიწყლულებთ ამ სოფლის მდგომარეობა, აქ ვერ ნახავთ ვერც-ერთს განათლებულ მუშას, ვერც ერთს გათვითცნობიერებულ გულშემატკივარს, რომელსაც ბეჩავ გლეხის კვნესა გულის სიღრმემდის წვდებოდეს, ვისი ჭირი-ჭირათ და ლხინი-ლხინათ მიაჩნდეს.

დღეს, როდესაც მთელი ერი წინსვლისაკენ მიილტვის, ჩვენი სოფელი გამონაკლისს შეადგენს. ჩვენ არ გვაქვს სკოლა, სამკითხველო, და სხ. რომელიც აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს სოფლისათვის, ჩვენ კი ამაზე არ ვზრუნავთ, ჩვენ არც გვახსოვს სკოლა, რომელსაც შეუძლია დიდი ნაყოფი მისცეს დაჩაგრულ სოფელს და ამ ბურუსიდან ნელნელა გამოიყვანოს ჩვენივე ძმები.

აი, ჩვენი—ნაგარევის ინტელიგენციის მოვალეობაა, ენერგიულათ შევუდგეთ ხალხის გამოფხიზლების საქმეს, გავიზიაროთ მათი ჭირი და ლხინი, ამოვუდგეთ ხალხს გვერდში, და მაშინ ყოველი ჩვენ მიერ გადადგმული ნაბიჯი სასურველ ნაყოფს გამოიღებს.

ელისე პატარიძე.

## კერძო განცხადება.

მაქვს პატივი ვაცნობო პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგანაც ამ ბოლო დროს დიდი უსიამოვნება შემხვდა შაქრის საკითხის შესახებ და ჩემი სურვილი საზოგადოების დაკმაყოფილებისა, არამც თუ არ ასრულდა, არამედ ამ შაქრის საკითხმა ბევრი მომდურავიც კი შემძინა, გადავწყვიტე ჩემი შაქრის წარმოება გადავცე ქუთაისის ქალაქის თვითმართველობას.

თუმცა ბევრი ვეცადე მოქალაქეთა მოთხოვნილებანი დამეკმაყოფილებია და ამის გამო ყველას შეძლებისდაგვარად ვაწვდიდი საქონელს წვრილ-წვრილად, რომ ყოველთვის მქონოდა ქალ. მცხოვრებთათვის საქონელი, მაგრამ ზოგმა მტრობით და ზოგმა გაუგებრობით შემწამეს, ვითომც რაღაც მოსაზრებით ვმალავ შაქარს და საზოგადოებას უპირით ვსტუმრებ.

დღეს, ქალ. თვითმართველობაში შემაქვს განცხადება, რომლის ძალით მე გადავცემ მას, რაც კი ნახერხი ქალაქდში გამოწვეული 3, 5 და 10 გირვანქიანი შაქარი მომივა ამ წლის პირველ ნოემბრამდე.

ქ. თვითმართველობა არსებულ საერთო ნიხრის მიხედვით გაყიდის მას.

თუ რამე მოსაზრებით ქალაქმა არ მიიღო ჩემი წინადადება, მაშინ იძულებული ვიქნები კერძო პირს მივანდო ნახერხ შაქრით ვაჭრობა. **ნიკიფ. ჯანელიძე.**

## პასუხი ბ. იოსებ ალ—ძე გუნცაძეს.

გაზეთ „სამშობლო“-ს 173-ე ნომერში მოთავსებულია თქვენი წერილი სადაც თქვენ სამედიატორო სამართალში მიწვევთ ვითომდაც რადაც ცუდ ხმების გავრცელების გამო. უნდა მოგახსენოთ მართალი, რომ მას მერე რაც ჩემს პირველ პასუხს, თქვენ „გაუგებარი“ ბურუსში გახვეულ უწოდეთ, მაშინ როდესაც ის სრულიად გარკვეულია და მე არ შემიძლია დავთანხმდე სამედიატორო სამართალზე, მაგრამ რადგანაც საბრალმდებელო ოქმი უკვე საჯაროთ ჩამაბარეთ მე უფლებას გაძლევთ ვინც გინდათ და რამდენიც გინდათ—ე. ი. მთელი შემადგენლობა სასამართლოსი აირჩიოთ თქვენ.

ამით მე იმის თქმა მინდა, რომ მე თქვენს სამართალს არ გაურბივარ, მხოლოდ სამედიატორო სამართალში „თქვენ“ არ შემიძლია გაგყვეთ რატომ? მკითხველი თვითონ მიხვდეს.

**ალ. ჯაფარიძე.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ პოლიკარპე კონსტანტინეს ძე იოსელიანს და ექიმ მარიამ კონსტანტინე იოსელიანის ასულს, რომელთაც კეთილ ინება და წელტუხოს წიგნ-საცავ სამკითხველოს ათ-ათი მანეთი შემოსწირეს. და ფედოსია კლდიაშვილის ასულს იოსელიანისას, რომელმაც ექვს მანეთად ღირებული დამთვა შემოსწირა.

კომიტეტის წევრთაგანი:
**სოლომონ იოსელიანი.**

—

ბატონო რედაქტორო!

ნება მიბოძეთ თქვენი პატივცემულ გაზეთის საშუალებით ჩემი და ჩემი ოჯახის გულწრფელი და გულითადი მადლობა გამოვუცხადო. ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს, თბილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს და ყველა იმ კერძო პირთ და საზოგადო დაწესებულებათ, რომელთაც ძვირფასი [illegible] დავითის ძე გელოვანის [illegible] ხსოვნას პატივი სცეს დეპეშებით, წერილებით და დაკრძალვაზე პირადის დასწრებით.

უმორჩილესად გთხოვ სხვა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ჩემი წერილი.

**შოთა იასონის ძე გელოვანი.**

—

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ უმორჩილესად ჩემ მიერ და აგრეთვე ვანის საზოგადოების მონდობილობით უღრმესი მადლობა გამოუცხადოთ ადგილობრივ მცხოვრებლებს ვასილ ივანეს ძე ახვლედიანს და გიორგი ხიდომინის ძე თვალავაძეს, რომელთაც კეთილ ინებეს და შემოსწირეს ზემოაღნიშნულ საზოგადოებას 350 კვ. ს. მიწა დ. ურიეშში მდებარე, ღირებული სამას მანეთად, და აგრეთვე სანდრო ვლასის ძე ლორთქიფანიძეს რომელმაც შემოსწირა ვანის ქსენონის ავეჯისთვის ორასი მანეთი ნაღდი ფული.

პატივისცემით—საზოგადოების ვექილი.
**მღ. ტარასი ძიგრაშვილი.**

—

ბ. რედაქტორო!

ნება გვიბოძეთ პატივცემული გაზეთის საშუალებით უღრმესი მადლობა გამოვუცხადოთ; ლევან ბაზვას ძეს და ალექსანდრა ბებუთის ასულს ოდიშარიებს, რომელთაც კეთილ-ინებეს და ბალდადის უფასო წიგნთ—საცავ სამკითხველოს შემოსწირეს სხვა-და-სხვა საყურადღებო წიგნები: —11—თხზულებანი შექსპირისა, 18—დანილევსკისა, 12—კოლექტიური ნაწარმოები—„პოპულიარული მთელი ქვეყნის ისტორია.“—3—დანტესი, 12—გრიგოროვიჩის, 10—ჟურ. „ნივის“ დამატება, 1—საქართველოს ისტორია, 1—გოგოლისა, 1—ჩეხოვისა, 1—ბიჩერ-სტოუსი, 1—კარლ ცასტროვისა, 2—რაკიტოვისა, 1—ბიქტორ მარგერიტისა და 1—გეტესი. სულ შემოსწირეს 74 ცალი წიგნი, რითაც დიდი დახმარება გაუწიეს ბალდადის ღარიბ წიგნსაცავ—სამკითხველოს.

წასაბაძი მაგალითია!...

გამგეობის მონდობილობით
**ნინო ნიჟარაძე.**

რედ.-გამომც. ი. თ ცინცაძე.

ევროპიული ტანსაცმელების მაღაზია
ალექსანდრე ი. კოსტავასი.
თფილისის ქუჩაზე, ქალაქის აფთიაქთან.
ახლათ მიღებულია: საზამთრო და საშემოდგომო პალტოები, კოსტიუმები, აგრეთვე საწვიმარი მოსასხურავები და სხვა მრავალგვარი შეკერილი ტანთსაცმელები. აქვე იშოვება არშინობით—რუსული და საზღვარგარეთული ყოველგვარი მატერიები. **რიგიან ფასებში**, რადგანაც მუშა ხელი შემცირებულია. ფასები უვაჭროთ.

გამოვიდა და იყიდება ყველა მაღაზიაში
**მთავრიშვილის** წიგნის მაღაზიის გამოცემა ქართული ქრისტომატია:
**„ჩვენი ძველი მწერლობა და ხალხური პოეზია“,**
შედგენილი **ს. რ. გორგაძის** მიერ. ფასი 6 აბაზი.

ვაცხადებ ქუთაისის საზოგადოების საყურადღებოთ, რომ ამა 1915 წლის 20 აგვისტოდან, ვორონცოვის ქუჩაზე, ჩემი სავაჭროს პირდაპირ გაიხსნა
**დიდი იაფი ვაჭრობა**
**ფეხსაცმელებისა და საგალანტერიო საქონლისა.**
**რომლის ფასები 50%-დან 75%-დე დაკლებულია.**
პატივისცემით დ. მ. ბახტაძე.
თვ.

**თ. მთავრიშვილის და ამხ.**
**წიგნისა და საკანცელარიო მაღაზიას ამა 1915/16 სასწავლო წლ. დამზადებული აქვს ყოველნაირი**
**ქართული და რუსული** სახელმძღვანელო **წიგნები,**
გეოგრაფიული ატლასები და კარტები და აგრეთვე საკანცელარიო ნივთები: რვეულები, კალმები, კარანდაშები, კალმის ტარები, საწერი და ფოშტის ქაღალდი და სხვა მრავალი საჭირო საკანცელარიო ნივთები. აქვე იყიდება **საყმაწვილო და სახალხო წიგნები, ყველა ახალი ქართული და რუსული ლიტერატურული ნაწარმოები და სხვ.**
თვ.

ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
(ქუთაისი, მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი)
მიღებულია დიდძალი
**საპნის გასაკეთებელი „სოდა“**
აქვე იყიდება ყოველგვარი ბაკალიური საქონელი. ფასები ყველაზედ ზომიერია როგორც წვრილათ, აგრეთვე ნარდათ.